წერის სწავლების პროცესში არსებული სირთულეები და მათი დაძლევის გზები სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას

ანა ძიძიგური

ნინო მჟავანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: მაია წულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ძიძიგური

ნინო მჟავანაძე

28/06/2018

აბსტრაქტი

კვლევა ეხება სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეების მიერ წერითი პროდუქტის შექმნის პროცესში არსებული სირთულეების გამოვლენას და მათ დასაძლევად ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას. სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ლექსიკური მარაგის სიმწირე წარმოადგენს. წერითი პროდუქტის შექმნის უნარის გასავითარებლად და მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად განათლების სპეციალისტები გვთავაზობენ წერის ხელშემწყობ ეფექტურ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც სასწავლო პროცესს მოსწავლეთათვის ბევრად უფრო სახალისოდ და კრეატიულად აქცევს.

კვლევის მიზანი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის შეთავაზებული წერის განმავითარებელი სტრატეგიების აღწერა და წერის პროცესში არსებული გამოწვევების აღმოჩენა. ასევე, წერის ხელშემწყობი თანამედროვე სტრატეგიების მოძიება, მოსწავლეებისთვის შეთავაზება და მათი ეფექტიანობის დადგენა.

კვლევაში მონაწილეობდნენ მე-8 და მე-9 კლასის სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეები და მათი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. კვლევის ინსტრუმენტებად შევარჩიეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, პრე-ტესტი და პოსტ-ტესტი. წერითი პროდუქტის შექმნის უნარის ხელშესაწყობად განვახორციელეთ ინტერვენცია, ბოლოს კი შევაფასეთ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში ძირითადად ტექსტების გადაწერა უწევთ. ინტერვენციის განხორციელების შემდეგ კი დავინახეთ, რომ წერის ხელშემწყობი თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეების წერისადმი მოტივაციის ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას განაპირობებს.

Abstract

This research is dedicated to identify the challenges and needs in the process of creating written products by the students with hearing impairments and to define the strategies to overcome the challenges.

In the process of teaching to students with hearing impairments one of the biggest challenges is lack of vocabulary. In order to support the improvement of the written skills and ensure the engagement of the students with hearing impairments, the education specialists have developed the effective strategies in this regard which encourage teaching process to be more fun and creative for the students.

The aim of the research was to assess the challenges in the writing process for students with hearing impairments through exploring and analyzing the proposed strategies for supporting writing skill development among students with hearing impairments. Also, to look for the modern strategies in the field, to propose those strategies to the students and to measure their effectiveness.

The students with hearing impairments from 8th and 9th grades and their teachers of Georgian language and literature took part in the research. As an instrument of the research, we have used deep interviews, observation during class, pre and post-tests. In order to support the improvement of the writing skills we made an intervention and finally, managed an evaluation.

Based on the survey results, it has been revealed that during the classes students with hearing difficulties mostly need to re-write texts. After our intervention, we saw that using of the modern strategies to improve the development of the written skills among students with hearing impairments ensures increased motivation and the proper engagement of the students with hearing impairments during the classes.

მადლობა

თინათინ ჭინჭარაულს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და რეკომენდაციები დაგვეხმარა კვლევის თითოეულ ეტაპზე.

მაია წულაძეს, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს, რომელიც აქტიურად გვიზიარებდა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, გვაწვდიდა უკუკავშირსა და მნიშვნელოვან რჩევებს.

სსიპ ქალაქ თბილისის 203-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ნინო მეტრეველს, რომელმაც აღნიშნულ სკოლაში კვლევის ჩატარების ნება დაგვრთო.

სსიპ ქალაქ თბილისის 203-ე საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

სსიპ ქალაქ თბილისის 203-ე საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მარინა თავაძეს კვლევაში მონაწილეობის მიღებისა და თანამშრომლობისათვის.

ჟესტური ენის სპეციალისტს - გაწეული დახმარებისთვის.